NEW MATERIALS ABOUT NAKURALESHI ST. GEORGE CHURCH

ახალი მასალები ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ

Tamar Letodiani
PhD Student, Institute of the History and Theory of Art,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Director of the Regional Archives of Depository Storage,
National Archives of Georgia,
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0009-0007-9928-0880
(+995)595070366; tamarletodiani@gmail.com

Julia Benidze
PhD Student, Institute of the History and Theory of Art,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Specialist of Division of Usage of Archival Fonds' Documents and
Scientific-Reference Data System in the Central Historical Archive,
National Archives of Georgia,
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0009-0009-1358-8337
(+995)593102952; juliabenidze@gmail.com

Abstract

The project (FR21-4253) supported by the Shota Rustaveli National Science Foundation „Lechkhumi: Medieval Cultural Heritage", was implemented by the Institute of Art History and Theory, Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2022. The aim of the project is recording and study of the antiquities of Lechkhumi – one of the historical regions of Georgia. The article presents the new materials identified within the framework of this project, namely one of the monuments of the region - Nakuraleshi church of St. George and its antiquities.

In 1910, while expedition held in Lechkhumi and Lower Svaneti led by Ekvtime Taqaishvili, Dimitri Ermakov photographed the interior of Nakuraleshi church of St. George and the antiquities preserved there. In these materials, attention is drawn to the row of eleven icons in the upper part of the chancel screen. Five of these icons are kept in the the Simon Janashia Museum of Georgia, the Georgian national Museum, are known in the scientific literature. The location of the remaining six icons of the chancel screen line remained unknown until now. During the fieldworks carried out within the project, during the recording the antiquities preserved in the residence of Metropolitan of the Diocese of Tsageri and Lentekhi, three of these six icons were revealed.

Nakuraleshi church of St. George is one of the few monuments of medieval Georgian church Architecture facade of which preserved the fragments of painting. Above else, it is the only confirmed example of the façade painting in the historical Lechkhumi. Today painting on the western façade of Nakuraleshi church is

heavily damaged and preserved as the fragments in the form of contour lines and spots. Thus, a photo revealed during the process of studying archival materials, on which western façade and its painted decoration of the church are recorded, is a primary source containing an important information concerning the façade murals in medieval Georgia.

Key words: Georgia, Lechkhumi, Cultural Heritage, Chancel screen, Icons, Façade Painting, Archives, Museum.

თამარ ლეთოდიანი
ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტის დოქტორანტი,
საქართველოს ეროვნული არქივის დეპოზიტური
შენახვის რეგიონული არქივის დირექტორი,
თბილისი, საქართველო
ORCID ID: 0009-0007-9928-0880
(+995)595070366; tamarletodiani@gmail.com

ჯულია ბენიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის დოქტორანტი,
საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის
ე.ს.ფ. დოკუმენტების გამოყენებისა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატის
განყოფილების სპეციალისტი,
თბილისი, საქართველო
ORCID ID: 0009-0009-1358-8337
(+995)593102952; juliabenidze@gmail.com

აბსტრაქტი

ლეჩხუმის სიძველეთა შესწავლის, მათი დღევანდელი იერსახის აღწერა-ფიქსაციის, სიძველეთსაცავებსა და არქივებში დაცული მასალების მოძიება-კვლევის მიზნით შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი (FR-21-14253): „ლეჩხუმი: შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა“. სტატიაში წარმოდგენილია ამ პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ახალი მასალები რეგიონის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლის - ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ.

1910 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მოწყობილი ექსპედიციის დროს, დიმიტრი ერმაკოვმა ფირზე აღბეჭდა ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის ინტერიერი და იქ დაცული სიძველეები. ამ მასალებში ყურადღებას იქცევს კანკელის ზედა ნაწილში, თერთმეტი ხატისგან წარმოდგენილი რიგი. მათგან ხუთი ხატი სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ინახება და ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. დღემდე უცნობი იყო კანკელის რიგის დარჩენილი ექვსი ხატის ადგილსამყოფელი. პროექტის ფარგლებში განხორციელებული საველე

სამუშაოების დროს, ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის მღვდელმთავრის რეზიდენციაში დაცულ სიძველეთა აღნუსხვისას, გამოვლინდა ამ ექვსი ხატისგან სამი. ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესია ერთ-ერთია შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნების იმ მცირერიცხოვან ძეგლთაგან, რომლებსაც შემორჩა საფასადო მოხატულობა. ამასთან, იგი ამ მხრივ ერთადერთი დადასტურებული ნიმუშია ისტორიულ ლეჩხუმში. ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის ფასადზე არსებული მხატვრობა დღეს ძლიერ დაზიანებულია და მკრთალი კონტურის ხაზის და ლაქების სახით ფრაგმენტულად შემორჩა. ამდენად, საარქივო მასალების კვლევის პროცესში გამოვლენილი ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია ეკლესიის დასავლეთი ფასადი და მისი ფერწერული შემკულობა, შუა საუკუნეების საქართველოში საფასადო მოხატულობების შესახებ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემცველი ხატოვანი პირველწყაროა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ლეჩხუმი, კულტურული მემკვიდრეობა, კანკელი, ხატები, ფასადის მოხატულობა, არქივი, მუზეუმი.

შესავალი

ნაკურალეში ლეჩხუმის ყველაზე მაღალმთიანი სოფელია. მის სასაფლაოზე, საგანგებოდ მომზადებულ მომცრო ბაქანზე მდგარი წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია XVII საუკუნის 60-70-იან წლებში აუგია გადადიანებული კაცია ჩიქვანის ძმას, ჭყონდიდელ ეპისკოპოსს გაბრიელს. ეკლესიის ინტერიერი მოხატულია. სახარებისეული სცენებისა და ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებების გვერდით, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების ქვედა რეგისტრში საერო პირთა - ჩიქვანთა გვარის წარმომადგენელთა სახეებია წარმოდგენილი. მხატვრობის კვალი ჩანს ეკლესიის დასავლეთ ფასადზეც.

XX საუკუნის 20 წლებამდე ეკლესიაში მრავალი საღვთისმსახურო ნივთი ინახებოდა - ხატები, ჯვრები, ხელნაწერები. მათი დიდი ნაწილის დღევანდელი ადგილსამყოფელი უცნობია.

მეთოდები

სტატიაში გამოყენებულია წყაროთმცოდნეობითი, არქეოგრაფიული, სახელოვნებათმცოდნეო და ეპიგრაფიკული კვლევის მეთოდები. მოძიებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობები ძეგლის შესახებ; დამუშავდა არქივებსა და სიძველთსაცავებში დაცული, დღემდე შეუსწავლელი ხატოვანი და წერილობითი მონაცემები. მოხდა გამოვლენილი ხატების და მხატვრობის აღწერა-შეჯერება მოძიებულ მასალებთან.

შედეგები

სტატიაში განხილულია ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის შესწავლისას გამოვლენილი ახალი მასალები; კერძოდ, კანკელის თავზე განთავსებული ტემპლონის დღემდე დაკარგულად მიჩნეული სამი ხატი და დღეისთვის წარხოცილი საფასადო მოხატულობის ამსახველი ძველი ფოტო. კვლევის პროცესში შეჯერდა ძეგლის შესახებ არსებული წყაროები და ახალი საარქივო მასალების მონაცემები.

მსჯელობა

ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ხატების რიგის და საფასადო მოხატულობის შესახებ მოძიებული მასალების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მონაცემებსა თუ საარქივო დოკუმენტებში დაცულ ცნობებთან შეჯერება, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განხილვა მათი მნიშვნელობის და დროთა ვითარებაში მომხდარი ცვლილებების უკეთ გააზრების საშუალებას იძლევა.

უადრესი ცნობა ნაკურალეშის ეკლესიის კანკელის შესახებ XIX საუკუნის 20-იან წლებს განეკუთვნება. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის დოკუმენტური მასალების დამუშავებისას, საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის (საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის) ფონდში აღმოჩნდა 1826 წლით დათარიღებული დოკუმენტი, სადაც აღწერილია ლეჩხუმის ეკლესია-მონასტრები თავისი სიძველეებით. ამ დოკუმენტში ნახსენებია ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელი. კერძოდ, ტექსტში ვკითხულობთ - „კანკელი ქვითკირისა ნახატი და მას ზედა ჯვარი ხეში ჩასმული მოოქროვილი“ (ფონდი 488: 68).

თითქმის ერთი საუკუნის შემდგომ, 1910 წელს, ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესია, იქ დაცულ სიძველეები და კანკელის ხატების რიგი. იმავე ექსპედიციის წევრმა, დიმიტრი ერმაკოვმა ფირზე აღბეჭდა ნაგებობის შიდა სივრცე. ფოტოს შეჯერება ნაკურალეშის ეკლესიის კანკელის ექვთიმე თაყაიშვილისეულ აღწერასთან ცხადყოფს, რომ ნაგებობას XX საუკუნის დასაწყისში ჰქონდა მაღალი ფიცრული კანკელი; მისი წინა პირი ყოველგვარ გაფორმებას იყო მოკლებული. კანკელის ზემოთ თერთმეტი ფერწერული ხატისგან შემდგარი რიგი იყო განთავსებული. ფოტოს მიხედვით, კანკელზე აღმართული ხატების რიგის მარჯვენა კიდე ეკლესიის სარკმლის თავანზე გადადიოდა.

ხატების რიგის ცენტრში განთავსებული იყო სამ ხატი მაცხოვრის, დედაღმრთისა (მარცხნივ) და წინამორბედის (მარჯვნივ) გამოსახულებით. მათ ორივე მხარეს მოციქულთა ოთხ-ოთხი ფიგურა იყო წარმოდგენილი. კანკელის შუაში, ცენტრალური ხატის თავზე აღმართული იყო ხის დიდი ჯვარი, ოქროს ფურცლებით შეძერწილი ლითონის მომცრო ჯვრით შუაში. ჯვრის სამივე მკლავის დაბოლოებებზე შესრულებული იყო ფერწერული გამოსახულებები: ზედა მკლავზე გაირჩევა სრული ტანით წარმოდგენილი ფიგურა, გვერდითა მკლავებზე - ნახევარფიგურები. ფოტოს მიხედვით სხვა დეტალების გარჩევა ძნელდება.

1920-იან წლებში, ლეჩხუმის სიძველეები რამდენჯერმე აღნუსხა გიორგი ბოჭორიძემ. მისი აღწერებით ზუსტდება ნაკურალეშის ეკლესიის კანკელის თავზე აღმართული, მხატვრობით დაფარული ჯვრის ზომები (3არშ. X 2არშ.). დგინდება, აგრეთვე, მის შუა ნაწილში ჩასმულ ჯვარზე (დაახლოებით 8X7 ვერშოკი (უტარო) წარმოდგენილი სცენა - ჯვარცმა და ცალკეული ფიგურები - წმ. იოანე მახარებელი და ანგელოზი. დღეისათვის მათი ადგილსამყოფელი უცნობია. გიორგი ბოჭორიძე ასევე საუბრობს ჯვრის ქვემოთ თერთმეტი ხატისგან შედგენილ ტემპლონზე და მოჰყავს თითოეული ხატის დაახლოებითი ზომები (13X8 ვერშოკი).

დღეს ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ხატების რიგიდან ხუთი ფერწერული ხატი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის შუა საუკუნეების განყოფილებაშია დაცული (საინვ. NN99-67/5, 99-67/6, 99-67/7/8, 99-67/9, 99-67/10). საინვენტარო წიგნის მიხედვით, ხატები ცაგერის რაიონიდანაა და ოთხ სხვა ხატთან ერთად შეუძენიათ ვინმე მ. საღირაძისგან. ნაკურალეშის ეკლესიის კანკელის ხატებთან მათი გაიგივება, დიმიტრი ერმაკოვის ფოტოსა და ნაკურალეშის ეკლესიის მოხატულობასთან მსგავსების საფუძველზე მოახდინა ნანა ბურჭულაძემ. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ხატების ზომებიც ემთხვევა გიორგი ბოჭორიძის მიერ მითითებულ მონაცემებს.

ხატები თანაგვარი ზომებისაა (56x36 სმ.); შესრულებულია ხეზე ტემპერით. ყველა მათგანზე გამოსახულია ტრადიციული იკონოგრაფიით წარმოდგენილი მოციქულის თითო ნახევარფიგურა. ყველა გამოსახულებას ახლავს წითელი ფერის საღებავით შესრულებული, შარავანდის ორივე მხარეს განაწილებული, დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა. მოციქულები სხვადასხვა მხარეს ვედრებად მიმართულები გამოუსახავთ. წმ. პეტრე (**:. Ⴒ˜Ⴓ :. .: Ⴗ˜Ⴑ :. - წ(მიდა)ꙋ პ(ეტრ)ე),** (**:. Ⴒ˜Ⴓ :. ᲚᲜᲯ˜Ⴖ - წ(მიდა)ꙋ სიმ(ეო)ნ) და წმ. ფილიპე (. Ⴒ˜Ⴓ :. ᲦᲜᲬᲜᲨ - წ(მიდა)ꙋ ფილიპე) -** მარჯვნივ; წმ. ლუკა (**: Ⴒ˜Ⴓ :. :.ᲬᲧ˜˜:.- წმ. ლ(უ)კ(ა))** და წმ. თომა (**[Ⴒ˜Ⴓ] ᲪᲝᲯ˜˜:. - წ(მიდა)ꙋ თომ(ა))** - მარცხნივ. ხატები შესრულებულია გვიანი შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში დამკვიდრებული მხატვრული სტილით. ამ მახასიათებლების მიხედვით სავარაუდოა, რომ ისინი XVII საუკუნეში უნდა შეექმნათ - სწორედ ასე ათარიღებენ ამ ხატებს ბოლო ათწლეულების პუბლიკაციებში.[1] ნიშნეული ჩანს ხატების სტილური თანაგვარობა ნაკურალეშის ეკლესიის მოხატულობასთან - როგორც ჩანს, ეკლესიის ფრესკები და ხატები თანადროულად უნდა შეექმნათ სხვადასხვა ოსტატებს. თავის მხრივ, საჩინოა სხვაობა ხატების შესრულების მანერაში - იგი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება სახეების წერისას, აგრეთვე სამოსის ფორმების დამუშავებაში. ამის გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ ხატების რიგი ორი ოსტატის მიერ უნდა ყოფილიყო შექმნილი.

ხატები რესტავრირებულია თ. გოჩიაშვილის მიერ. მათი რესტავრაციამდელი მდგომარეობის ამსახველი ფოტოები მიკვლეულ იქნა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში.

რაც შეეხება ახლად მიკვეულ სამ ხატს, ისინი აღმოჩნდა ცაგერში - ცაგერის ისტორიული მუზეუმის ადმინისტრაციის მიერ 1997 წლის 5 იანვარს

1 დათუნაშვილი, ნ (2004) ჭედური და ფერწერული ხატები - პუბლიკაციაში ხატების წარმომავლობა მითითებული არ არის; მათი შექმნის სავარაუდო პერიოდად ზოგადად გვიანი შუა საუკუნეები სახელდება (ბურჭულაძე, ნ. აზაურაშვილი, ნ. (2012) შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში; ბურჭულაძე ნ. (2016) ქართული ხატები - მკვლევარი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ნაკურალეშის ეკლესიის მხატვრობა და ხატები ოსტატთა ერთი ჯგუფის მიერ იყოს შესრულებული).

შედგენილი აქტით საეკლესიო ნივთების დიდი ნაწილი მუზეუმიდან გადაცემულ იქნა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიისთვის. ვრცელი სია მოიცავს ხატებს, ჯვრებს, ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებს.

ცაგერის და ლენტეხის ეპარქიის ეპისკოპოსის სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ლოცვა-კურთხევით შესაძლებლობა მოგვეცა აღგვეწერა და გადაგვეღო მუზეუმის მიერ ეპარქიისთვის გადაცემული სიძველეები. მათგან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სამმა ხატმა, რომლებიც მსგავსებას ავლენდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ხატებთან. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ვიზუალური მსგავსების გარდა, თანაგვარია ხატების ზომები, შესრულების ტექნიკა, წერის მანერა და კოლორიტი, ასევე იდენტურია განმარტებითი წარწერების შესრულების ფორმა. ახლად გამოვლენილ ხატებზე გამოსახულია თითო ნახევარფიგურა, რომლებიც სხვადასხვა მხარეს ვედრებად მიმართულია წარმოდგენილი: ღმრთისმშობელი (**:. Ꭾ̈Ꭿ :. :. Ꭾ̈Ꭻ :. – ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ჲ)** და მოციქული **(:. Ꭾ̈Ꭻ:. :.Ꭾ̈Ꭼ :. – წ(მიდა)ჲ ი(ოან)ე)** – მარჯვნივ, ხოლო წმ. იოანე ნათლისმცემლი **(†Ꭻ :. Ꭾ̈Ꭼ :. ᏒᏕ̈Ꭿ ‖ ᏓᏕᏚ :. ‖ ᏯᏣᏕᏯᏕ ‖ ᏓᏕ – წ(მიდა)ჲ ი(ოან)ე ნ(ა)თლისმცემელი)** - მარცხნივ. დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტო ღმრთისმშობლის და წმ. იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებების გაიგივების და კანკელის ხატების რიგში მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ისინი ცენტრში წარმოდგენილი მაცხოვრის გვერდით იყვნენ განთავსებულნი. მოციქულის გამოსახულების თავდაპირველი ადგილის განსაზღვრა რთულია.

ნაკურალეშის ეკლესიის საფასადო მხატვრობის ამსახველი ფოტო მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. აღსანიშნავია, რომ ნაკურალეშის ეკლესიის აღწერისას საფასადო მოხატულობას არ ეხება ექვთიმე თაყაიშვილი; იმავდროულად, იგი მიუთითებს ნაგებობის დასავლეთ კედელზე უშნოდ მიშენებულ ხის ოთახზე რაც, სავარაუდოდ, ფარავდა საფასადო მხატვრობას. გიორგი ბოჭორიძის მიხედვით, ეს ხის ნაგებობა საქალებოს წარმოადგენდა - იგი 1924 წელს დაუნგრევიათ. ამდენად, როგორც ჩანს, გიორგი ბოჭორიძეს ჰქონდა ეკლესიის ფასადზე არსებული მხატვრობის ხილვის შესაძლებლობა - იგი აღწერს დასავლეთ ფასადის კედელზე შესრულებულ კომპოზიციას. ცენტრში წარმოდგენილი ყოფილა მაცხოვრის ფიგურა, მის ორივე მხარეს კი - მოციქულთა სამ-სამი ფიგურა. ეს სცენა 1983 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემულ წიგნში „ლეჩხუმი“, საიდუმლო სერობადაა მიჩნეული. ნაკურალეშში ვახტანგ ბერიძის ყოფნის დროს ეკლესიის მხატვრობა იმდენად ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი, რომ კომპოზიციის გარჩევა ჭირდა (ბერიძე, 1994:185).

ჩვენს მიერ ცაგერის ისტორიული მუზეუმის საარქივო მასალების დამუშავებისას გამოვლინდა ნაკურალეშის ეკლესიის დასავლეთი ფასადის მხატვრობის ამსახველი, დღემდე ნაკლებად ცნობილი ფოტო. უცნობია მისი ავტორი და გადაღების თარიღიც, თუმცა დევი ბერძენიშვილის ფოტოკოლექციაში დაცულ 1982 წლის ფოტოსთან შედარება ცხადყოფს, რომ ის გაცილებით ადრე უნდა იყოს გადაღებული.

ფოტო შავ-თეთრია; მასზე ასახულია ნაკურალეშის ეკლესიის დასავლეთი ფასადი. ნაგებობის თეთრად შებათქაშებულ გლუვ კედელზე გაირჩევა ფერწერული კომპოზიციის ფრაგმენტები. ჩანს, რომ კომპოზიციას შემოწერდა რეგისტრის ხაზი. ფოტოს მიხედვით ცენტრალური ფიგურა და მის მარჯვნივ, სამხრეთ არეზე წარმოდგენილი ორი მოციქულის გამოსახულება დაღუპულია, ხოლო მესამე თითქმის სრულად იკითხება. მარცხენა მხარეს, ჩრდილოეთ არეზე ფრაგმენტულად გაირჩევა სამი მჯდომარე წმინდანის ფიგურა. უკიდურეს მარცხენა კიდეში ნაწილობრივ ჩანს წმინდანის სახე, შარავანდი, სამოსის დრაპირება და ფეხის ნაწილი. მომდევნო ფიგურის მხოლოდ სამოსის დრაპირებული ნაწილი იკითხება, მესამე წმინდანისა კი - სხეულის ქვედა ნაწილის დრაპირება.

დღეისათვის ნაკურალეშის ეკლესიის დასავლეთი ფასადის კედლის მხატვრობიდან ჩრდილოეთ არეზე ფრაგმენტულად გაირჩევა ფიგურის ფეხის, დრაპირების და რეგისტრის ხაზები. სამხრეთ არეზე შედარებით უკეთ არის შემონახული წმინდანის მჯდომარე ფიგურის კონტურული მოხაზულობა, რომელსაც ქვემოდან მიუყვება რეგისტრის ხაზი. ფიგურისა და რეგისტრის ხაზების გამოსაყოფად გამოყენებულია მოყვითალო ოქროს საღებავი ოხრისფერი.

დასკვნა

ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის თავზე აღსამართი ხატების რიგიდან ადგილსამყოფელი იმ ექვსი ხატისა, რომლებიც დაკარგულად ითვლებოდა, დგინდება სამი ხატის ადგილსამყოფელი. ეს გარემოება მნიშვნელოვანია ნაკურალეშის ეკლესიის და მისი კანკელის ხატების შესწავლისათვის. ამ მხრივ გამორჩეული მნიშვნელობისაა ძველი ფოტო, რომელსაც აღუბეჭდავს დასავლეთი ფასადზე შესრულებული მოხატულობა. ყოველივე ეს მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის შესწავლის და მისი გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებთან ადგილის მიჩენის თვალსაზრისით.

წმ.პეტრე, ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ხატების რიგიდან; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის საკურთხევლის საერთო ხედი, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, 1910 წ.; ცაგერის ისტორიული მუზეუმი

წმ. სიმეონ, ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ხატების რიგიდან; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

წმ. ლუკა, ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ხატების რიგიდან; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

წმ. ფილიპე, ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ხატების რიგიდან; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

წმ. თომა, ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ხატების რიგიდან; გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ღმრთისმშობელი, ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ხატების რიგიდან; ცაგერის და ლენტეხის ეპარქიის მღვდელმთავრის რეზიდენცია

წმ. იოანე, ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ხატების რიგიდან; ცაგერის და ლენტეხის ეპარქიის მღვდელმთავრის რეზიდენცია

წმ. იოანე ნათლისმცემელი, ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის ხატების რიგიდან; ცაგერის და ლენტეხის ეპარქიის მღვდელმთავრის რეზიდენცია

ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთი ფასადი, ფოტოს ავტორი და თარიღი უცნობია; ცაგერის ისტორიული მუზეუმი

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Berdzenishvili, d. bandzeladze, i. suramelashvili, m. ch'urghulaia l. (1983) lechkhumi. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“ (ბერძენიშვილი, დ. ბანძელაძე, ი. სურამელაშვილი, მ. ჭურღულაია ლ. (1983) ლეჩხუმი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“)

Beridze, v. (1994) XVI-XVIII sauk'unis kartuli saek'lesio khurotmodzghvreba, tbilisi: gamomtsemloba k'andeli (ბერიძე, ვ. (1994) XVI-XVIII საუკუნის ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბილისი: გამომცემლობა კანდელი)

Boch'oridze, g. (1994) rach'a-lechkhumis ist'oriuli dzeglebi da sidzveleebi, tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“ ბოჭორიძე, გ. (1994) რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“)

Burch'uladze, n. azaurashvili, n. (2012) shua sauk'uneebis kartuli saek'lesio khelovneba sakartvelos erovnul muzeumshi. tbilisi: gamomtsemloba „sezani“ (ბურჭულაძე, ნ. აზაურაშვილი, ნ. (2012) შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“)

Burch'uladze, n. (2016) kartuli khat'ebi, tbilisi: karchkhadzis gamomtsemloba (ბურჭულაძე, ნ. (2016) ქართული ხატები, თბილისი: ქარჩხაძის გამომცემლობა)

Datunashvili, n. (2004) ch'eduri da perts'eruli khat'ebi, tbilisi (დათუნაშვილი, ნ (2004) ჭედური და ფერწერული ხატები, თბილისი)

Taqaishvili, e. (1937) arkeologiuri eksp'editsia lechkhum-svanetshi. p'arizi (თაყაიშვილი, ე. (1937) არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში. პარიზი).

ფონდი 488. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 488. აღწერა 1. საქმე 81